საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

მინისტრის N01-260/ო ბრძანების თანახმად „ელექტრონული სამედიცინო ჩანაწერების“ სისტემისა და „ელექტრონული ჯანდაცვის“ მოდულების ინტეგრაციის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა განსახორციელებლად სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ

სამუშაო ჯგუფის სხდომის

ოქმი #10

თბილისი, MOH, I **30.09.2015წ.**
12:00 სთ.

სხდომას ესწრებოდნენ:

გია ჯღარკავა - პროექტის მენეჯერი. სამინისტროს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის პროგრამული უზრუნველყოფის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი

ირინა გობეჯიშვილი - სამინისტროს ჯანდაცვის დეპარტამენტის, წამლის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი

სხდომის დღის წესრიგი

ჯანდაცვის სამინისტროს, EMC-ისა და სოციალური მომსახურების სააგენტოს 19 სექტემბრის შეხვედრაზე სააგენტოს მიერ მოწოდებული კონტაქტისა და ინფორმაციის შესაბამისად, დაინიშნა შეხვედრა ჰეპატიტისა და დიალიზის პროგრამებში პაციენტების ელექტრონული ჩანაწერების სისტემის სარგებლიანობის განსაზღვრისთვის.

1. ჯანდაცვის დეპარტამენტის წარმომადგენელმა (**ირინა გობეჯიშვილი**) დასვა საკითხი, რომ HSSP-ის მიმდინარე მოდული, რომლითაც ხდება დიალიზის პროგრამის მართვა არ იძლება სრულყოფილ ინფორმაციას მთლიანი ბიზნეს-პროცესის დასაფარავად და საჭიროა ან მისი მოდიფიკაცია, ან ახალი პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავება. ეს ცვლილებები უფრო ეხება პროცესის ადმინისტრაციულ და არა კლინიკური ნაწილს (მაგალითად, საწყობისა და მასალების მართვა).

2. HSSP-EMR პროექტის მენეჯერმა (**გია ჯღარკავა**) მიიღო ინფორმაცია სავარაუდო ბიზნეს-პროცესის, სირთულეებისა და რისკების შესახებ და დანიშნა შეხვედრა EMC-ისა და SSA-ს წარმომადგენლებთან, თუმცა გამოთქვა სკეპტიციზმი, რადგან ეს ფუნქციონალი სცილდება ელექტრონული ჩანაწერების ფუნქციონალსა და ამ როლში მისი გამოყენება იქნება არაეფექტური და მოითხოვს რესურსების სავარაუდოდ უმიზნო ხარჯვას.

EMR პროექტის მენეჯერი

გიორგი ჯღარკავა